ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2215589

ნომერი: AR1342554

თარიღი : 23.09.2015

გაცემის თარიღი : 29.09.2015

გაცნობის თარიღი : 02.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 115 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ინწკირველი პ/ნ 01015002059
- თბილისი ვერცხლის ქ. N 38

ორგანიზაცია:

- შპს "აპო თრეიდინგი" კოდი: 405037071

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

„ფაილის მიმაგრება“–ს ველში აიტვირთოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა საპროექტო შენობის კონტურის (შესაბამისი გაბარიტული ზომების მითითებით), სამსახურის მიერ აღნიშნულ ნაკვეთზე შეტანხმებული შენობების კონტურების (შესაბამისი დასათაურებით) და სატრანსპორტო შესვლა/გამოსვლის სქემის დატანით.

გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო ავტოსერვისში მომსახურეობა არ უნდა აღიქმებოდეს ქუჩის მხრიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროებისამებრ დაკორექტირდეს დოკუმენტაცია.

გარდა ამისა დამატებით აიტვირთოს საპროექტო შენობის ჭრილი ნიშნულების მითითებით.

ასევე წარმოდგენილ იქნას იპოთეკარის, სს „პროკრედიტბანკი ცენტრალური ფილიალის გამსახურდიას განყოფილება“–ს თანხმობა შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.